27/08/2025

MES 0 25 0001034866

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის ჩატარების თარიღი: 21/08/2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 12:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: ქეთევან გილაშვილი

სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან გილაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - საბჭოს მდივანი;
4. **ერეკლე ასტახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **ირმა შიოშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
6. **ირაკლი კორძაია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ანასტასია ქიტიაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ცენტრის დირექტორი;
8. **ჯონი ბოჭორიშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლის დირექტორი;
9. **თეონა თიგიშვილი** - შპს "ჯეო სქაი სქულის" მასწავლებელი;
10. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები

- **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **ქეთავან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

- **არჩილ ჯანგირაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **თინა ღუდუშაური** - პროფესორი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
- **ოთარ კაპანაძე** - პროფესორი, "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

აკრედიტაციის დებულების 28^5 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გორედძი ბუჩაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 28^5-ე მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 28^7-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. "შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა
დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. "შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: "შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივარის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია აკრედიტაციის დებულების 28^3 მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილება). საჩივარში გათვალისწინებულია/ასახულია აკრედიტაციის დებულების 28^3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს, წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და საჩივარის მოთხოვნების აკრედიტაციის დებულებასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით (არსებობის შემთხვევაში).
ცენტრის თანამშრომელმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა ისაუბრა საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების დეტალების შესახებ. მისი თქმით, ცენტრში წარმოდგენილი საჩივარი შეეხება შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებას. ცენტრში 2025 წლის 01 აგვისტოს შემოვიდა შპს საქართველო უნივერსიტეტის №3482 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №941524, 01/08/2025) რომელიც ეხება 2025 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებას, „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ასევე მიუთითა, რომ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო წარმოება არ მიმდინარეობს. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრმა ინფორმაცია მიიღო დაწესებულების მიერ წერილობით (№972748, 12/08/2025). დამატებით აღნიშნა, რომ დაცულია გასაჩივრების ერთთვიანი პერიოდი, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში დაწესებულებისთვის გადაწყვეტილების გაცნობისა და მისი გასაჩივრების ვადასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას სურდათ თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმეს დამატება.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, არჩილ ჯანგირაშვილი დაინტერესდა ამ ეტაპზე საკითხის განხილვა მათი მხრიდან არსებითად უნდა მოხდეს თუ არა.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე საკითხს სიღრმისსეულად არ განიხილავენ, მხოლოდ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის მიღების, ან არ მიღების შესახებ.

სხდომაზე მამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 12:08
დასრულების დრო: 12:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10;
წინააღმდეგი - 0.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^3-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად იქნას მიღებული "შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

2025 წლის 21 აგვისტოს 12:15 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი